დამტკიცებულია სსიპ საქსტატის საბჭოს
2013 წლის 26 დეკემბრის
№ 17 დადგენილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (შემდგომში - საქსტატი) არსებული საქსტატის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) მუშაობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებს, საბჭოს შემადგენლობის ფორმირების წესს, საბჭოს წევრობისათვის სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. საბჭო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქსტატის დებულებით, ამ დებულებით, სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.
(შეტანილია ცვლილება, საქსტატის საბჭოს 2018 წლის 02 აგვისტოს N12 დადგენილებით)

თავი II
საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი

მუხლი 2. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭო შედგება 8 წევრისაგან, (საბჭოს 7 წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისაგან) რომელთაგან:
ა) ერთი არის საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენელი, ერთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი და ერთი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი;
ბ) საბჭოს დანარჩენი 5 წევრის კანდიდატურას წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საბჭოს წევრები არ უნდა იყვნენ საჯარო მოსამსახურეები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საბჭოს წევრთა კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყების ხელმძღვანელები.

(შეტანილია ცვლილება, საქსტატის საბჭოს 2018 წლის 02 აგვისტოს N12 დადგენილებით)

მუხლი 3. საბჭოს წევრთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საბჭოს წევრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) უმაღლესი განათლება;
ბ) სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიისა და სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების ცოდნა;
გ) საკონსულტაციო, საექსპერტო ან სამეცნიერო სფეროში მუშაობის გამოცდილება;
2. სასურველია საბჭოს წევრს ჰქონდეს სტატისტიკის სფეროში მუშაობის გამოცდილება.

მუხლი 4. საბჭოს წევრების დანიშვნის წესი

1. ამ დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბჭოს 5 წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე საქართველოს პრემიერ მინისტრი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს 8 კანდიდატურას, ხოლო თუ ვაკანტური თანამდებობა 5-ზე ნაკლებია - არსებული ვაკანტური თანამდებობების ჯამურ რაოდენობაზე არანაკლებ ერთით მეტ კანდიდატურას.
2. საქართველოს პარლამენტი საბჭოს წევრთა კანდიდატურების წარდგენიდან 21 დღის ვადაში, ხოლო საპარლამენტო არდადეგების შემთხვევაში - სესიის განახლებიდან 2 კვირის ვადაში, ფარული კენჭისყრით თანხმობას აძლევს საქართველოს პრემიერ მინისტრს საბჭოს წევრების დანიშვნაზე.
3. საბჭოს წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატურა საქართველოს პარლამენტის მიერ მოწონებულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს პლენარულ სხდომაზე დამსწრე საქართველოს პარლამენტის წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.
4. თუ, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ხმათა საკმარის რაოდენობას არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა რაოდენობაზე მეტი კანდიდატი მიიღებს, ჩაითვლება, რომ პარლამენტის თანხმობა მიეცა საუკეთესო შედეგის მქონე იმდენ კანდიდატს რამდენი ვაკანტური თანამდებობაცაა.
5. თუ საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთა რაოდენობა არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა მათ მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო ამ კანდიდატებს ხელახლა ეყრებათ კენჭი და გამარჯვებული ხმათა ფარდობითი უმრავლესობით გამოვლინდება.

6. თუ ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილი რომელიმე კანდიდატი ვერ მიიღებს პარლამენტის თანხმობას, საქართველოს პრემიერ-მინისტრი 21 დღის ვადაში წარუდგენს საქართველოს პარლამენტს შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე ახალ კანდიდატურებს, რომელთა არჩევა ხდება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.
7. საქართველოს პარლამენტის მიერ საბჭოს წევრთა კანდიდატურებისათვის თანხმობის მიცემის შემდეგ საბჭოს შემადგენლობას ნიშნავს საქართველოს პრემიერ- მინისტრი.
8. საბჭო თავისი შემადგენლობიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
9.საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არის საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი.
10. ამ დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაა მათ მიერ საჯარო სამსახურში ყოფნის პერიოდი.
11. ამ დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.
12. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ იმავე პირს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს საბჭოს წევრის შესარჩევ კონკურსში.
(შეტანილია ცვლილება, საქსტატის საბჭოს 2018 წლის 02 აგვისტოს N12 დადგენილებით)

თავი **III**
საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს წევრის უფლებამოსილებათა შეწყვეტა

მუხლი 5. საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

1. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) სასამართლოს მიერ უგზო–უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
გ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
დ) გარდაცვალება.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულის გარდა, უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია ასევე:
ა) ამ დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბჭოს წევრის შემთხვევაში:
ა.ა) ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა;
ა.ბ.) საჯარო სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე საქმიანობის შეწყვეტა;

ბ) ამ დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბჭოს წევრის შემთხვევაში:
ბ.ა) საბჭოს წევრობის უფლებამოსილების ვადის გასვლა;
ბ.ბ.) არასაპატიო მიზეზით 2 თვის განმავლობაში საბჭოს წევრობის უფლებამოსილების განუხორციელებლობა;
ბ.გ.) საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება;
გ) საბჭოს თავმჯდომარის შემთხვევაში:
გ.ა) ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა;
გ.ბ) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე უფლებამოსილების ვადის გასვლა.
3. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება საქართველოს პრემიერ- მინისტრის ბრძანებით.
(შეტანილია ცვლილება, საქსტატის საბჭოს 2015 წლის 25 სექტემბრის N15 დადგენილებით)

თავი IV
საბჭოს ფუნქციები და საქმიანობის წესი

მუხლი 6. საბჭოს ფუნქციები

1. საბჭოს ფუნქციებია:
ა) საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურის წარდგენა;
ბ) საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
გ) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
დ) სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;
ე) მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
ვ) საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;
ზ) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქსტატის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
ზ[1]) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
თ) საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

ი) საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც განისაზღვრება საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი;
კ) ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონით, საქსტატის დებულებითა და ამ დებულებით განვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.
2. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს დადგენილებით.

(შეტანილია ცვლილება, საქსტატის საბჭოს 2015 წლის 25 სექტემბრის N15 დადგენილებით)
(შეტანილია ცვლილება, საქსტატის საბჭოს 2018 წლის 02 აგვისტოს N12 დადგენილებით)

მუხლი 7. საბჭოს საქმიანობის წესი

1. საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს პერიოდული საბჭოს სხდომების საფუძველზე. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ სამ თვეში ერთხელ მაინც.
2. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა სულ ცოტა 4 წევრის მოთხოვნის შემთხვევაში. რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის შესახებ საბჭოს წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომამდე არა უგვიანეს 5 დღისა.
3. საბჭო მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომაზე ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. საბჭოს სხდომაზე ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. საბჭოს სხდომა შეიძლება გაიმართოს ელექტრონული ფორმით.
4. საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს 5 წევრი მაინც.
5. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
6. საბჭოს წევრი, რომელიც არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლება აქვს თავისი პოზიცია დააფიქსიროს წერილობით, რომელიც თან ერთვის სხდომის ოქმს.
7. საბჭოს საქმიანობის ორგანიზებულად განხორციელების მიზნით საბჭოს სხდომებს ესწრება მდივანი.
8. საბჭოს მდივანი:
ა) ორგანიზებას უწევს საბჭოს საქმიანობას;
ბ) უზრუნველყოფს საბჭოს წევრებს შესაბამისი ინფორმაციით;
გ) ესწრება საბჭოს სხდომებსა და პასუხისმგებელია შესაბამისი სხდომის ოქმის წარმოებაზე;
დ) ახორციელებს საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;
ე) საბჭოს საქმიანობის ორგანიზებულად განხორციელების მიზნით ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის სხვა დავალებებს.
(შეტანილია ცვლილება, საქსტატის საბჭოს 2015 წლის 25 სექტემბრის N15 დადგენილებით)
(შეტანილია ცვლილება, საქსტატის საბჭოს 2018 წლის 02 აგვისტოს N12 დადგენილებით)

მუხლი 8. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს;

ბ) ადგენს საბჭოს სხდომაზე განსახილველ საკითხთა რიგითობას;

გ) ამოღებულია; (02.08.2018 №12 დადგენილება)

დ) ხელს აწერს საბჭოს სხდომის ოქმს;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

(შეტანილია ცვლილება, საქსტატის საბჭოს 2018 წლის 02 აგვისტოს N12 დადგენილებით)

თავი V
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი საბჭოს

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საბჭოს მიერ.